ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ელდარ ბოგდანოვი

სამაგისტრო ნაშრომი:

უმოკლესი გზების განსაზღვრა ევკლიდურ გრაფებში

ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: პროფესორი კობა გელაშვილი

თბილისი

2013

სარჩევი

ანოტაცია

დღესდღეობით ალგორითმების ერთ-ერთ ფართო კლასს წარმოადგენს გრაფებზე ალგორითმები. გრაფების მეშვეობით ხდება უამრავი ტიპის მიმართების და პროცესის მოდელირება ინფორმაციულ, ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციალურ სისტემებში. გრაფების გამორჩეულ სახეობას წარმოადგენს ევკლიდური გრაფები, რომელთა გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი სფერო საგზაო სისტემების მოდელირებაა. ასეთ სისტემებში მუდმივად დგება პუნქტების წყვილებს შორის უმოკლესი მარშრუტის მოძებნის ამოცანები, რომლებისთვისაც გრაფთა თეორიაში შესაბამისი ალგორითმები არსებობს.

ნაშრომის მიზანია შემთხვევითი ევკლიდური გრაფების ორი სახეობის - ბერნულის და გეომეტრიული გრაფების სწრაფი გენერაციის ხერხების მოძიება, უმოკლესი გზის მოძებნის არსებული კლასიკური ალგორითმების ეფექტური იმპლემენტაცია და მათი წარმადობის შედარება ამ ტიპის გრაფებზე სხვადასხვა განზომილების სივრცეებში. ასევე გამოკვლეული იყო ახალი ევრისტიული მეთოდის წარმადობა და ოპტიმალურობა.

Abstract

Nowadays graph algorithms constitute a broad class of modern algorithms. Graphs can be applied to model relations and processes in informational, physical, biological and social systems. One notable type of graphs is Euclidean graph, which is often used to represent road networks. A frequent task in such networks is determining the shortest route between two sites. There are special Graph Theory algorithms which solve this problem.

The goals of this thesis are: to research the means of efficient generation of graphs according to two random Euclidean graph models – Bernoulli Random Graphs and Random Plane Networks; to implement several classical shortest path algorithms and to compare their performance on the generated graphs in different space dimensions. Also, a new heuristical method was suggested and its performance and optimality studied.

შესავალი

დღესდღეობით ალგორითმების ერთ-ერთ ფართო კლასს წარმოადგენს გრაფებზე ალგორითმები. გრაფების მეშვეობით ხდება უამრავი ტიპის მიმართების და პროცესის მოდელირება ინფორმაციულ, ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციალურ სისტემებში.

გრაფების გამორჩეულ სახეობას წარმოადგენს ევკლიდური (ასევე ცნობილი როგორც „გეომეტრიული“) გრაფები. მათი გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი სფერო საგზაო სისტემების მოდელირებაა. აქ იგულისხმება ნებისმიერი მაშტაბის საგზაო სისტემები, დაწყებული ქვეყნის დასახლებულ პუნქტებს შორის საგზაო მიმოსვლით და დამთავრებული ერთი ქალაქის ფარგლებში არსებული გზებით.

ძირითადი საკითხი, რომელიც დგება საგზაო სისტემებთან მუშაობისას არის მარშრუტების მოძებნა პუნქტების წყვილებს შორის. ხშირად საძიებელი ხდება უმოკლესი მარშრუტები. ეს ამოცანა რეგულარულად ისმება მაგალითად ელექტრონული რუკების გამოყენებისას და მისი სწრაფი გადაწყვეტა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

გრაფში უმოკლესი გზის მოძებნის ამოცანა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენს. 1955 წელს შიმბელის მიერ იყო გამოქვეყნებული ამ ამოცანის გადამწყვეტი პირველი ალგორითმი, რომელსაც 1956 წელს ფორდის და შემდეგ 1958 წელს ბელმანის ალგორითმი მოჰყვა. 1959 წელს გამოქვეყნდა დეიქსტრას ალგორითმი, რომელიც დღესაც უმოკლესი გზის პოვნის კლასიკურ ალგორითმს წარმოადგენს. შემდეგ მოახდინეს ამ ალგორითმის მოდიფიკაცია ხალვათი გრაფებისთვის ჯერ ორობითი გროვების გამოყენებით, შემდეგ კი ფიბონაჩის გროვების გამოყენებით (1984). 1986 წელს გამოქვეყნდა სეჯვიკის და ვიტერის A* ძებნაზე დაფუძნებული ალგორითმი, რომელიც ევრისტიულად ასწრაფებს უმოკლესი გზის მოძებნას ევკლიდურ გრაფში. ამ საკითხებზე მუშაობა შემდეგაც გრძელდებოდა და ამ მიმართულებით ერთ-ერთი ბოლო წინსვლა 2004 წელს Microsoft Research-ის მიერ გამოქვეყნებული Reach ევრისტიკა იყო.

ამ ნაშრომის მიზანია უმოკლესი გზის პოვნის არსებული კლასიკური და ევრისტიული ალგორითმების სწრაფქმედების შედარებითი ანალიზი სხვადასხვა სახის შემთხვევით

ევკლიდურ გრაფებზე. ასევე იყო გამოკვლეული უმოკლესთან მიახლოებული მარშრუტის დადგენის ახალი ევრისტიული მეთოდები.

ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სიბრტყეზე განლაგებულ ევკლიდურ გრაფებზე, როგორც ევკლიდური გრაფების აქტუალურ მოდელზე. ასევე არის გამოკვლეული ზოგიერთი ალგორითმის და ევრისტიკის მუშაობა უფრო მაღალი განზომილების ევკლიდურ გრაფებზე.

ნაშრომი შედგება 5 თავისგან. პირველ თავში მოყვანილია გრაფთა თეორიის ძირითადი ცნებები, რომლებიც გამოყენებული იქნება ნაშრომში. მეორე თავში ხდება იმ კლასიკური ალგორითმების მიმოხილვა, რომლების იმპლემენტაცია და შედარებითი ანალიზი შესრულდა ნაშრომის ფარგლებში. მესამე თავი ეთმობა ახალი ევრისტიული MinimumAngleDFS მეთოდის მიმოხილვას, რომელიც გამოიყენება უმოკლესი მარშრუტის სიგრძეზე გარკვეული ზედა ზღვრის დასადგენად. მეოთხე თავში შეჯამებულია იმპლემენტაციის თავისებურებები, რომელიც თან ახლდა ჩატარებულ მოდელირებას. მეხუთე თავში შეფასებულია მოდელირების შედეგები.

თავი 1. ძირითადი ცნებები

გრაფი (Graph). **G**=(**V**, **E**) გრაფი წარმოადგენს წვეროების **V** სიმრავლის და წიბოების **E** სიმრავლის წყვილს. ყოველი წიბო წარმოადგენს წვეროების დალაგებულ ან დაულაგებელ წყვილს. წიბოები მიმართულია, თუ **E** სიმრავლის ელემენტები დალაგებული წყვილებია, წინააღმდეგ შემთხვევაში - ორმხრივი. გრაფს ეწოდება წონიანი, თუ ყოველ წიბოსთან ასოცირებულია რიცხვი - ამ წიბოს წონა. წინააღმდეგ შემთხვევაში გრაფს უწონო ეწოდება.

მკვრივი (Dense) და ხალვათი (Sparse) გრაფები. გრაფს ეწოდება მკვრივი, თუ მისი წიბოების რაოდენობა |E| იგივე რიგისაა, რაც წიბოების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა, ანუ $|E| \sim |V^2|$. წინააღმდეგ შემთხვევაში გრაფს ხალვათი ეწოდება.

ევკლიდური გრაფი (Euclidean Graph). **d**-განზომილებიან სივრცეში განლაგებული ევკლიდური გრაფის ყოველ წვეროსთან ასოცირებულია **d**-განზომილებიანი სივრცის წერტილი $(\mathbf{x}^1, \ldots, \mathbf{x}^d)$. გრაფში არსებული ყოველი წიბოს წონა შესაბამის წვეროებს შორის ევკლიდური მანძილის ტოლია.

ბერნულის შემთხვევითი გრაფი (Bernoulli Random Graph) [1]. **d**-განზომილებიან სივრცეში განლაგებული ბერნულის შემთხვევითი **G(n, p)** გრაფი არის **n**-წვეროიანი ევკლიდური გრაფი, რომლის წვეროებს **d**-განზომილებიანი სივრციდან აღებული შემთხვევითი წერტილები შეესაბამება, ხოლო ყოველი შესაძლო წიბოს არსებობის ალბათობა დამოუკიდებელია და ტოლია **p**-სი.

შემთხვევითი გეომეტრიული გრაფი (Random Plane Network) [2]. **d**-განზომილებიან სივრცეში განლაგებული შემთხვევითი გეომეტრიული **G(n, r)** გრაფი წარმოადგენს **n**-წვეროიან ევკლიდურ გრაფს, რომლის წვეროებს **d**-განზომილებიანი სივრციდან აღებული შემთხვევითი წერტილები შეესაბამება, ხოლო ყოველი (U, V) წიბო არსებობს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ევკლიდური მანძილი U და V წვეროებს შორის არ აღემატება **r**-ს.

გზა გრაფის წვეროებს შორის (Path). **G=(V, E)** წონიან გრაფში **a** და **b** წვეროებს შორის გზა წარმოადგენს წვეროების ისეთ $v_1, v_2, \ldots, v_K$ მიმდევრობას, რომ $v_1 = \mathbf{a}$, $v_k = \mathbf{b}$ და ყოველი i<K-

სთვის **E** შეიცავს (v_i, v_{i+1}) წიბოს. ასეთი გზის სიგრძე **L(v_1, …, v_K)** ეწოდება $\sum_{i=1}^{K-1} l(v_i, v_{i+1})$ ჯამს, სადაც **l(u, v)** არის u და v წვეროების დამაკავშირებელი წიბოს წონა.

უმოკლესი გზა გრაფის წვეროებს შორის (Shortest Path). a და **b** წვეროებს შორის უმოკლესი გზის სიგრძე **D(a, b)** არის მინიმალური რიცხვი **a** და **b** წვეროების შემაერთებელი ყველა შესაძლო გზის სიგრძეებს შორის. თუ ასეთი გზა არ არსებობს, უმოკლესი გზის სიგრძე განმარტებული არ არის. თვითონ უმოკლესი გზა **a** და **b** წვეროებს შორის არის ნებისმიერი ისეთი გზა ამ წვეროებს შორის, რომლის სიგრძე ტოლია **D(a, b)**-სი.

ორობითი გროვა (Binary Heap) [3]. ორობითი გროვა წარმოადგენს მონაცემთა სტრუქტურას, რომელიც სრული ორობითი ხით წარმოიდგინება და შეუძლია შემდეგი სამი ფუნქციის შესრულება:

- სიმრავლეში ელემენტის დამატება $O(\log_2 N)$ ალოგორითმული სირთულით, სადაც N სიმრავლეში ელემენტების რაოდენობაა.
- სიმრავლის ელემენტის მნიშვნელობის შემცირება $O(\log_2 N)$ სირთულით.
- სიმრავლიდან მინიმალური ელემენტის ამოშლა $O(\log_2 N)$ სირთულით.
- სიმრავლის მინიმალური ელემენტის მოძიება $O(1)$ სირთულით.

ფიბონაჩის გროვა (Fibonacci Heap) [4]**.** ორობითი გროვის მსგავსი სტრუქტურა, რომელიც სიმრავლის მინიმალური ელემენტის ძიებას $O(1)$ დროში, ელემენტის ჩამატებას და არსებული ელემენტის შემცირებას ამორტიზებულ $O(1)$ დროში, ხოლო მინიმალური ელემენტის ამოშლას ამორტიზებულ $O(\log_2 N)$ დროში ახდენს.

თავი 2. არსებული ალგორითმები

ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია უმოკლესი გზის მოძებნის სამ მეთოდზე: დეიქსტრას ალგორითმზე, A* ძებნაზე და ორმხრივ დეიქსტრას ალგორითმზე.

შემდგომში ვიგულისხმოთ, რომ საძებნი გრაფის დასახელებაა G, ხოლო უმოკლესი გზების ძებნა s და t წვეროებს შორის მიმდინარეობს.

სამივე ალგორითმი იყენებს რელაქსაციის მექანიზმს (თუმცა A* ძებნისთვის იგი მცირეოდენ განსხვავებულია). ალგორითმის პროცესში, ყოველი v წვეროსთვის ინახება d[v] პარამეტრი - s წვეროდან v წვერომდე ნაპოვნი უმოკლესი გზის სიგრძე. d მასივის ინიციალიზაცია ალგორითმის დასაწყისში ხორციელდება შემდეგი პროცედურის მეშვეობით:

```
INITIALIZE-SINGLE-SOURCE(G, s)
  for each v in G.V
    d[v] = INFINITY
  d[s] = 0
```

(u, v) წიბოს რელაქსაცია (u -> v მიმართულებით) მდგომარეობს შემდეგში. მოწმდება, u-ს გავლით v-მდე გზის სიგრძე ნაკლები თუ არის მიმდინარე უმოკლეს გზაზე v წვერომდე და ასეთ შემთხვევაში ხდება v-მდე უმოკლესი გზის სიგრძის მნიშვნელობის განახლება. პსევდოკოდის სახით ეს პროცედურა შემდეგნაირად გამოიყურება:

```
RELAX(u, v, w)
  if d[v] > d[u] + w(u, v) then
    d[v] = d[u] + w(u, v)
```

2.1. დეიქსტრას ალგორითმი.

კლასიკური დეიქსტრას ალგორითმი [5][6] პოულობს G=(V, E) ორიენტირებული გრაფისთვის უმოკლეს გზებს საწყისი s წვეროდან ყველა დანარჩენ წვერომდე. მისი სწორად

მუშაობისთვის აუცილებელია, რომ გრაფის წიბოების წონები არაუარყოფითი რიცხვები იყოს.

დეიქსტრას ალგორითმის მუშაობის დროს გამოიყენება S სიმრავლე, რომელიც V-ს ქვესიმრავლეს წარმოადგენს და შედგები ისეთი v წვეროებისგან, რომლებამდეც უმოკლესი გზის სიგრძე უკვე ნაპოვნია. ალგორითმი იტერაციულია და ყოველ იტერაციაზე ხდება ისეთი u წვეროს არჩევა V \ S სიმრავლიდან, რომლის d[u] მინიმალურია. შემდეგ ხდება u წვეროს ყველა მეზობელი წიბოს რელაქსაცია.

პროცესი გრძელდება მანამ, სანამ V \ S სიმრავლეში არ რჩება მხოლოდ d[v]=INFINITY-ს მქონე წვეროები (რომლებიც მიუღწეველია s-იდან) ან რომელიმე იტერაციაზე არ ხდება t წვეროს არჩევა როგორც V \ S სიმრავლის მინიმალური d-ს მქონე წვეროსი.

```
DIJKSTRA(G, w, s, t)
  INITIALIZE-SINGLE-SOURCE(G, s)
  S = {}
  while V \ S != {}
    u = extract_min(V \ S)
    S = S join {u}
    if u = t then
      break
    for each v adjacent to u
      RELAX(u, v, w)
  return d[t]
```

ალგორითმის სირთულე დამოკიდებულია გრაფის წარმოდგენის შერჩევასა და მონაცემთა სტრუქტურაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მანძილების შენახვა-განახლების ორგანიზება. მკვრივი გრაფებისთვის ოპტიმალურია მონაცემთა სტრუქტურის როლში მასივის აღება, რა შემთხვევაშიც ალგორითმის მუშაობის სირთულე იქნება $O(|V|^2)$. ხალვათი გრაფებისთვის გრაფი აუცილებლად მეზობელთა სიების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და მონაცემთა სტრუქტურის როლში უნდა იქნას გამოყენებული ორობითი ან ფიბონაჩის

გროვა. ორობითი გროვის გამოყენებით სირთულე $O(|E|\log_2|V|)$ იქნება, ხოლო ფიბონაჩის გროვის საშუალებით - $O(|V|\log_2|V| + |E|)$.

2.2. A* ალგორითმი ევკლიდური გრაფებისთვის.

A* ძებნა [7] გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე ევრისტიული მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ყოველი წვეროდან დანიშნულების წვერომდე მანძილზე ქვედა ზღვრის შეფასება. ამ ცოდნის გათვალისწინებით, წვეროების განხილვა უფრო ეფექტური მიმდევრობით ხორციელდება, ვიდრე დეიქსტრას ალგორითმში და შესაბამისად ალგორითმი უფრო მალე ამთავრებს მუშაობას.

ევკლიდურ გრაფში ნებისმიერი წვეროდან დანიშნულების წვერომდე უმოკლეს გზაზე ქვედა ზღვრის შეფასება ბუნებრივია: ამ გზის სიგრძე ვერ იქნება შესაბამის წვეროებს შორის მანძილზე უფრო მოკლე. ამრიგად, შესაძლებელია წვეროები განხილული იქნას არა თუ ძებნის სათავიდან მანძილის ზრდის მიმდევრობით, არამედ ამ მანძილისა და დანიშნულების წვერომდე მანძილის ჯამის ზრდის მიმდევრობით. ეს მეთოდი ევრისტიულია და კონკრეტული სპეციალურად შერჩეული გრაფებისთვის შეიძლება ვერ აჯობოს დეიქსტრას ალგორითმს, მაგრამ მისი საშუალო შეფასება ასიმპტოტურად უკეთესია დეიქსტრას ალგორითმის შეფასებაზე.

ალგორითმის აღსაწერად გამოვიყენოთ მოდიფიცირებული INITIALIZE_SINGLE_SOURCE და RELAX პროცედურები:

```
INITIALIZE-SINGLE-SOURCE(G, s, t)
  for each v in G.V
    d[v] = INFINITY
  d[s] = distance(s, t)

RELAX(G, u, v, t)
  new_length = d[u] - distance(u, t) + w(u, v) + distance(v, t)
  if d[v] > new_length then
    d[v] = new_length
```

ამის შემდეგ, A* ძებნის იმპლემენტაცია ევკლიდური გრაფებისთვის პრაქტიკულად არ განსხვავდება დეიქსტრას ალგორითმის იმპლემენტაციისგან:

```
A*(G, w, s, t)
  INITIALIZE-SINGLE-SOURCE(G, s, t)
  S = {}
  while V \ S != {}
    u = extract_min(V \ S)
    S = S join {u}
    if u = t then
      break
    for each v adjacent to u
      RELAX(G, u, v, t)
  return d[t]
```

2.3. ორმხრივი დეიქსტრას ალგორითმი.

ორმხრივი დეიქსტრას ალგორითმის [8] იდეა შემდეგში მდგომარეობს: ერთდროულად მოხდეს დეიქსტრას ალგორითმის გაშვება s და t წვეროებიდან და პროცესი შეჩერდეს, როგორც კი ეს ძებნები ერთმანეთს „შეხვდებიან“. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ორიენტირებულ გრაფთან გვაქვს, t წვეროდან გაშვებული დეიქსტრა შებრუნებული გრაფის წიბოებით უნდა მოძრაობდეს. ერთდროულობის სიმულაცია ორი გზით შეიძლება: ყოველ ჯერზე ავირჩიოთ ისეთი წვერო, რომლამდეც მანძილი შესაბამისი გროვაში უფრო მცირეა, ანაც მონაცვლეობით ავიღოთ წვეროები ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე გროვიდან. დაწვრილებით განვიხილოთ რას წარმოადგენს ალგორითმების „შეხვედრა“.

აღვნიშნოთ პირველი ალგორითმის მიერ გარკვეულ იტერაციაზე ნაპოვნი უმოკლესი მანძილები d1[·] სიდიდეებით, ხოლო მეორე ალგორითმის მიერ ნაპოვნი უმოკლესი მანძილები კი d2[·] სიდიდეებით. როდესაც პირველი ალგორითმი ახდენს რაიმე (u, v) წიბოს რელაქსაციას, ასევე მოწმდება d1[u] + w(u, v) + d2[v] სიდიდე და თუ იგი ნაკლებია ამ მომენტისთვის ნაპოვნ უმოკლეს L მანძილზე s და t წვეროს შორის (რომელიც თავიდან

პირობითად უსასრულობის ტოლია), მაშინ ხდება ამ მანძილის განახლება. ანალოგიური პროცედურა სრულდება მეორე ალგორითმის მიერ ჩატარებული რელაქსაციების დროსაც. ალგორითმი მთავრდება, როდესაც L ნაკლები ან ტოლი აღმოჩნდება d1[u']+d2[v'] სიდიდეზე, სადაც u' არის პირველი ალგორითმის მიერ დაუმუშავებელი s-თან უახლოესი წვერო, ხოლო v' არის მეორე ალგორითმის მიერ დაუმუშავებელი t-სთან უახლოესი წვერო. ამ დროისთვის L-ის მნიშვნელობა ოპტიმალურია.

ალგორითმი პსევდოკოდის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

```
BIDIRECTIONAL-DIJKSTRA(G, w, s, t)
  INITIALIZE-SINGLE-SOURCE:d1(G, s)
  INITIALIZE-SINGLE-SOURCE:d2(rev(G), t)
  S1 = {}
  S2 = {}
  L = INFINITY
  while (V \ S1 != {}) AND (V \ S2 != {})
    u1 = extract_min(V1 \ S)
    u2 = extract_min(V2 \ S)
    if d[u1] + d[u2] >= INFINITY then
      break
    if d1[u1] < d2[u2] then
      S1 = S1 join {u1}
      for each v adjacent to u1 in G
        RELAX:d1(u1, v, w)
        L = min(L, d1[u1] + w(u1, v) + d2[v])
    else
      S2 = S2 join {u2}
      for each v adjacent to u2 in rev(G)
        RELAX:d2(u2, v, w)
        L = min(L, d2[u2] + w(u2, v) + d1[v])
  return L
```

დავასაბუთოთ ალგორითმის სისწორე. ამისთვის საკმარისია ვაჩვენოთ, რომ ალგორითმის დასასრულის მომენტში L-ში აუცილებლად იქნება უმოკლესი გზის სიგრძე s და t წვეროებს შორის. დავუშვათ საწინააღმდეგო: ვთქვათ, არსებობს ისეთი P გზა s-იდან t-ში, რომლის სიგრძე ნაკლებია L-ზე. ვიპოვოთ ამ გზის ბოლო წვერო u ისეთი, რომ d1[u] < d1[u'] დაპირველი წვერო v ისეთი, რომ d2[v] < d2[v']. თუ u წვერო ემთხვევა v-ს ან P-ში უფრო გვიან გვხვდება, ვიდრე v, მაშინ ალგორითმს P გზა განხილული ექნებოდა. თუ u და v P-ში მეზობელი წვეროებია, მაშინ P-ს განხილვა მოხდა იმ მომენტში, როდესაც u პირველმა დეიქსტრას ალგორითმმა დაამუშავა, ანაც იმ მომენტში როდესაც v მეორე დეიქსტრას ალგორითმმა დაამუშავა - რომელიც უფრო გვიან მოხდა. ვთქვათ, u და v-ს შორის 2 წიბო მაინც არის. პირველის წონა იყოს w1, ხოლო მეორის w2. იქიდან გამომდინარე, რომ L მეტია P-ს სიგრძეზე, გვაქვს d1[u]+w1+w2+d2[v] < L. ალგორითმის გაჩერების პირობიდან გამომდინარე გვაქვს L <= d1[u']+d2[v']. ხოლო u და v-ს განმარტებიდან გამომდინარე, გვაქვს d1[u]+w1 >= d1[u'] და d2[v]+w2 >= d2[v']. მივიღეთ წინააღმდეგობა.

კვლავ, ამ ალგორითმის სირთულე ზოგადად იგივეა რაც დეიქსტრას ალგორითმის სირთულე. თუმცა სპეციფიურ შემთხვევებში იგი თეორიულადაც ჯობია ჩვეულებრივ დეიქსტრას ალგორითმს. მაგალითად, თუ ჩავთვლით რომ გრაფი წარმოადგენს უწონო ხეს, რომლის ყველა წვეროს გააჩნია K+1 რაოდენობის მეზობელი, ხოლო s და t-ს ზუსტად K მეზობელი, ხოლო უმოკლესი გზა s-ს და t-ს შორის შედგება L წიბოსგან, მაშინ დეიქსტრას ალგორითმს მოუწევს K^L წვეროს განხილვა, ხოლო ორმხრივ დეიქსტრას ალგორითმს მხოლოდ $K^{L/2}$.

თავი 3. MinimumAngleDFS ევრისტიკა

MinimumAngleDFS წარმოადგენს ევრისტიულ ალგორითმს, რომელიც G ევკლიდურ გრაფში s წვეროდან t წვეროში მოსალოდნელად მოკლე (არა აუცილებლად უმოკლეს) გზას ეძებს. მისი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ძებნისას პირველ რიგში მოსინჯოს ისეთი წიბოები, რომლებიც მიმდინარე v წვეროსგან t-სკენ უთითებენ ან v და t წვეროებით შექმნილ მონაკვეთთან მინიმალურ კუთხეს ქმნიან. ლოგიკურია, რომ საკმარისად მკვრივ გრაფში ასეთი სტრატეგიით t წვერო მალევე უნდა ვიპოვოთ და მიღებული გზის სიგრძე ხშირად შედარებადი იქნება უმოკლეს მანძილთან.

ალგორითმის პსევდოკოდი შემდეგია:

```
MINIMUM-ANGLE-DFS(G, s, t, used)
  if s = t then
    return 0
  used[s] = true
  sort vertices v adjacent to s in descending order of angle svt
  for each v adjacent to s
    if not used[v]
      path_length = MINIMUM-ANGLE_DFS(G, v, t, used)
      if path < INFINITY then
        return path + distance(s, v)
  return INFINITY
```

მკვრივ გრაფში წარმადობის თვალსაზრისით შეიძლება მომგებიანი აღმოჩნდეს წვეროების დალაგების ნაცვლად ერთი ან რამდენიმე მაქსიმალური კუთხის შემქმნელი წვეროს პოვნა და სიღრმეში ძებნის მათთვის გაშვება, რაც დიდი ალბათობით წარმატებით დასრულდება. ამით თავიდან ავიცილებთ მეზობლების დალაგების შედარებით შრომატევად პროცედურას.

თავი 4. იმპლემენტაცია

მიმდინარე თავში ხდება ყველა იმ გადაწყვეტილების მიმოხილვა, რომელიც იყო მიღებული იმპლემენტაციის ამა თუ იმ ეტაპზე, მათ შორის შემთხვევითი რიცხვების გენერატორის შერჩევა, შემთხვევითი გრაფების გენერაციის ოპტიმიზაცია, გრაფების, ალგორითმების და მათთვის საჭირო მონაცემთა სტრუქტურების განზოგადება.

პროექტი შესრულებულია C++ დაპროგრამების ენაზე.

4.1. შემთხვევითი რიცხვების გენერატორი.

ვინაიდან ალგორითმების სწრაფქმედებას სტატისტიკურად ვამოწმებდი, საჭირო იყო დიდი რაოდენობის შემთხვევითი გრაფის შექმნა და შესაბამისად უამრავი შემთხვევითი სიდიდის გენერაცია. ამრიგად, შემთხვევითი რიცხვების გენერატორი ერთის მხვრივ მაქსიმალურად სწრაფი უნდა ყოფილიყო, მეორეს მხვრივ კი საკმარისად დიდი პერიოდი ჰქონოდა.

არჩევანი შევაჩერე ჯორჯ მარსალიას ე.წ. Xorshift გენერატორზე [9]. ეს შემთხვევითი რიცხვების გენერატორი მხოლოდ ბიტურ ოპერაციებს (ბიტურ წაძვრას და xor-ს) იყენებს და შესაბამისად დიდი წარმადობით გამოირჩევა. C++-ის სტანდარტულ rand() ფუნქციასთან შედარებით Xorshift-ის მეშვეობით 10-მაგი მოგება მივიღე წარმადობაში. კონკრეტულად ვიყენებ შემდეგ იმპლემენტაციას, რომლის პერიოდია $2^{128}-1$:

```
uint32_t xor128(void) {
  static uint32_t x = 123456789;
  static uint32_t y = 362436069;
  static uint32_t z = 521288629;
  static uint32_t w = 88675123;
  uint32_t t;

  t = x ^ (x << 11);
  x = y; y = z; z = w;
  return w = w ^ (w >> 19) ^ (t ^ (t >> 8));
}
```

4.2. გრაფების წარმოდგენა.

გრაფების წარმოსადგენად ორი ძირითადი საშუალება არსებობს: მეზობლობის მატრიცის (Adjacency Matrix) და მეზობელთა სიების (Adjacency Lists) შენახვა. მეხსიერების დაკავების მხვრივ, პირველი ხერხი ოპტიმალურია მკვრივი, ხოლო მეორე ხალვათი გრაფებისთვის. ვინაიდან ალგორითმების შედარებისას ორივე სახის გრაფები იყო გამოყენებული, ეს ორივე წარმოდგენა იმპლემენტირებული უნდა ყოფილიყო მაქსიმალური სწრაფქმედებისთვის. ამრიგად, შეიქმნა EuclideanGraph აბსტრაქტული კლასი, რომელსაც აქვს შემდეგი ფუნქციონალი:

- void addEdge(int u, int v) - გრაფში (u, v) წიბოს დამატება
- int countNeighbours(int v) – v წვეროს მეზობლების რაოდენობის დათვლა
- int getFirstNeighbour(int v) – v წვეროს „პირველი“ მეზობლის დაბრუნება. პირველი პირობითი დასახელებაა და ფუნქციის შემდგომი იმპლემენტაციის მიხედვით შეიძლება აბრუნებდეს მინიმალური ნომრის მქონე მეზობელს ან იმ წვეროს, რომელიც v-სთან ყველაზე ადრე იყო დაკავშირებული წიბოების დამატების პროცესში
- int getNextNeighbour(int v) - აბრუნებს v წვეროს მორიგ მეზობელს. იგულისხმება, რომ ამ წვეროსთვის უკვე იყო გამოძახებული getFirstNeighbour მეთოდი. ეს ორი მეთოდი ერთად იძლევა წვეროს მეზობლების გადავლის საშუალებას.

EuclideanGraph-ს ორი იმპლემენტაცია აქვს DenseGraph და SparseGraph კლასების სახით.

DenseGraph ინახავს გრაფს მეზობლობის მატრიცის სახით. countNeighbours მეთოდის O(1) ალგორითმული სირთულის მისაღწევად ასევე ინახება ყოველი წვეროს მეზობელთა რაოდენობა. getFirstNeighbour და getNextNeighbour მეთოდების საშუალებით კონკრეტული წვეროს ყველა მეზობლის გადავლა O(N) დროში სრულდება, სადაც N გრაფში წვეროების რაოდენობაა.

SparseGraph ინახავს გრაფს მეზობელთა სიების სახით. getFirstNeighbour და getNextNeighbour მეთოდები კონკრეტული წვეროს მეზობლებს O(მეზობლების რაოდენობა) დროში გაივლიან, ანუ ჯამში ყველა წვეროსთვის O(M) დრო იხარჯება, სადაც M გრაფში წიბოების რაოდენობაა.

გრაფების ასე წარმოდგენა არ გვაძლევს საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად როდესაც გრაფში წიბოების დამატებისას იგი ხალვათის ნაცვლად მკვრივი ხდება) გრაფის სტრუქტურა შევცვალოთ და იგი მეზობელთა სიის ნაცვლად მატრიცით შევინახოთ. ამრიგად, გადაწყვეტილება შესაბამისი შენახვის გზის თაობაზე გრაფის შექმნისას უნდა იყოს მიღებული მომხმარებლის მიერ.

4.3. ბერნულის შემთხვევითი გრაფების გენერაცია.

გავიხსენოთ, რომ ბერნულის შემთხვევით G(n, p) გრაფში n წვეროა და წვეროების ყოველ წყვილს შორს წიბო p ალბათობით არის გავლებული.

პირველი საკითხი, რომლის გადაწყვეტაა საჭირო ასეთი გრაფის გენერაციის დროს არის გრაფის წარმოდგენის შერჩევა - შევინახოთ იგი მეზობლობის მატრიცით თუ მეზობელთა სიებით. ამისთვის საჭიროა საბოლოო გრაფში წიბოების რაოდენობის შეფასება.

ყოველი წიბოს არსებობის ალბათობა არის p, სულ კი არამიმართულ გრაფში $\frac{n\cdot(n-1)}{2}$ შესაძლო წიბოა. ასეთი მოდელი ბინომიალური განაწილებით აღიწერება. ამრიგად, ჩვენს გრაფში წიბოების რაოდენობის მათემატიკური მოლოდინი იქნება $\frac{n\cdot(n-1)}{2}p$. ასევე მნიშვნელოვანია, რა ალბათობით შეიძლება მოხდეს ამ რიცხვისგან არსებითი გადახრა. ჩავატარე ცდები კონკრეტულ მაგალითებზე შემდეგი ფუნქციის მეშვეობით:

```
double C[maxM][maxM];
double countBinDistDensity(int tries, double p, int left, int right)
{
	C[0][0] = 1.;
	for(int i = 1; i <= tries; i++)
	{
		C[i][0] = C[i - 1][0] * (1 - p);
		for(int j = 1; j <= i; j++)
			C[i][j] = C[i - 1][j - 1] * p + C[i - 1][j] * (1 - p);
	}

	double ret = 0.0;
	for(int i = max(0, left); i <= min(tries, right); i++)
		ret += C[tries][i];

	return ret;
}
```

ფუნქცია ითვლის ალბათობას, რომ tries რაოდენობის ცდის შედეგად, ყოველი რომელთაგანის წარმატების ალბათობაა p, წარმატებული ცდების რაოდენობა იქნება [left, right] შუალედში.

ცდებმა აჩვენა, რომ მაგალითად G(50, 0.5) ბერნულის შემთხვევითი გრაფისთვის იმის ალბათობა, რომ გრაფში წიბოების რაოდენობა 10%-ით განსხვავდება $\frac{n\cdot(n-1)}{2}p \approx 612$ -ისგან არის 0.1%-ზე ნაკლები. კიდევ უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ G(50, 0.01) გრაფში იქნება 30 წიბოზე მეტი (წიბოების რაოდენობის მათ. მოლოდინი ამ შემთხვევაში უდრის 12.25-ს). ეს ალბათობები კიდევ უფრო მცირდება n-ის გაზრდასთან ერთად. ამრიგად, მაღალი გადახრის ალბათობა საკმარისად დიდ გრაფში ძალიან მცირეა და ჩვენი მიზნებისთვის საბოლოო გრაფში წიბოების რაოდენობის მიახლოება ამ მათ.მოლოდინის მეშვეობით შეიძლება.

წიბოების მოსალოდნელ რაოდენობაზე დაყრდნობით გრაფის წარმოდგენის შერჩევის შემდეგ დგება გრაფის წიბოების გენერაციის საკითხი. გენერაციის მარტივი ალგორითმი შემდეგია: განვიხილოთ ყველა შესაძლო წყვილი, ყოველისთვის ავიღოთ [0, 1) შუალედში მყოფი შემთხვევითი რიცხვი და თუ იგი p-ზე ნაკლებია, დავამატოთ შესაბამისი წიბო გრაფში. ასეთი ალგორითმი მუშაობს $O(n^2)$ დროში და ოპტიმალურია მკვრივი გრაფებისთვის. მაგრამ n-ის დიდი მნიშვნელობებისთვის ყოველი გრაფის შექმნას საგრძნობი დრო დაეთმობა და ეს დრო თითქმის ერთიდაიგივე იქნება მკვრივი და ხალვათი გრაფებისთვის. ამიტომ ხალვათი გრაფებისთვის მივმართავ გენერაციის სხვა ალგორითმს.

პირველ რიგში, ვითვლი გრაფში წიბოების რაოდენობის მათ. მოლოდინს M. იმ შემთხვევაში, თუ გრაფი საკმარისად ხალვათი გამოდის, ასევე ვახდენ ბინომიალური განაწილების მოდელირებას $\left\lfloor\frac{M}{10}\right\rfloor$ ცდით და M-ის მნიშვნელობას ვაზუსტებ ამ ცდების შედეგის მიხედვით.

შემდეგ ხდება M რაოდენობის განსხვავებული (u, v) წყვილის გენერაცია და ამ წყვილების ჩამატება გრაფში წიბოებად. წყვილების უნიკალურობის შესამოწმებლად გამოიყენება ჰეშ-ცხრილი, რომელიც ელემენტის ჩამატებას და მოძებნას მოსალონდელ O(1) დროში ახდენს. კონკრეტულად გამოყენებულია C++-ის unordered_set კონტეინერი. შევაფასოთ ამ ალგორითმის სირთულე:

შემოვიღოთ აღნიშვნა $e = \frac{n\cdot(n-1)}{2}$. როდესაც ხდება რიგით მე-(k+1) წიბოს გენერაცია, იგი $\frac{k}{e}$ ალბათობით შეიძლება დაემთხვას რომელიმე იქამდე დაგენერირებულ წიბოს. მისი ხელმეორედ გენერაციისას ამავე ალბათობით შეიძლება კვლავ მოხდეს დამთხვევა და ასე შემდეგ. ამრიგად, მე-(k+1) წიბოს ჩამატების დროის მათ.მოლოდინი მოიცემა განტოლებით $T(k+1) = \frac{k}{e}\cdot T(k+1) + 1$. აქედან ვიღებთ $T(k+1) = \frac{e}{e-k}$.

როდესაც M=e, ანუ გრაფში ყველა წიბოს ჩამატება ხდება, T(1)+T(2)+...+T(M) ჯამი უდრის $\sum_{i=1}^{e}\frac{e}{i}$ -ს, რაც წარმოადგენს მე-e ჰარმონიულ რიცხვს და იზრდება O(e ln(e)) ტემპით [10]. ამრიგად, ამ ალგორითმის მუშაობის მოსალოდნელი დრო შემოსაზღვრულია O(e ln(e)) სირთულით და პრაქტიკაში უფრო დაბალია, ვინაიდან მხოლოდ ხალვათი გრაფებისთვის გამოიყენება.

ექსპერიმენტების შედეგად, შევარჩიე C=40 კონსტანტა და გენერაციის მარტივ ალგორითმს ვიყენებ მაშინ, თუ C * M აღემატება e-ს.

4.4. შემთხვევითი გეომეტრიული გრაფების გენერაცია.

გავიხსენოთ, რომ შემთხვევით გეომეტრიულ G(n, r) გრაფში წვეროების (u, v) წყვილი დაკავშირებულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ევკლიდური მანძილი u-ს და v-ს შესაბამის წერტილებს შორის არ აღემატება r-ს.

ბერნულის შემთხვევითი გრაფების გენერაციის მსგავსად, აქაც პირველი გადასაწყვეტი საკითხია გრაფის წარმოდგენის შერჩევა. საამისოდ კვლავ შევაფასოთ წიბოების მოსალოდნელი რაოდენობა, რომელიც იქნება G(n, r) გრაფში. მათემატიკური მოლოდინის წრფივობიდან გამომდინარე, საკმარისია გამოვთვალოთ ალბათობა p, რომ d-განზომილებიანი სივრციდან შემთხვევით აღებული 2 წერტილი იქნება არაუმეტეს r მანძილით დაშორებული, შემდეგ კი გავამრავლოთ ეს p სიდიდე პოტენციური წიბოების $\frac{n\cdot(n-1)}{2}$ რაოდენობაზე.

d=2 შემთხვევაში, ანუ სიბრტყეზე განლაგებული წერტილებისთვის, ამოცანას ანალიზურად შეგვიძლია მივუდგეთ. დავადგინოთ p(r) დამოკიდებულება: ალბათობა, რომ ერთეულოვანი

კვადრატიდან აღებული ორი შემთხვევითი წერტილი არაუმეტეს r მანძილით არის დაშორებული. მოხერხებულობისთვის, გამოვთვლი ამის საპირისპიროს - რომ ორი წერტილი r-ზე მეტი მანძილითაა დაშორებული. აქ განვიხილავ მხოლოდ r≤1 შემთხვევას, რაც გაამარტივებს ანალიზის ჩატარებას და ასევე არ წარმოადგენს სერიოზულ შეზღუდვას: r>1 შემთხვევაში საკმარისად დიდი გრაფი ყოველთვის მკვრივი გამოდის.

ვთქვათ, ჩვენი წერტილებია A და B. განვიხილოთ U=AB=(x, y) ვექტორი. ზოგადობის შეუზღუდავად ჩავთვალოთ, რომ კუთხე, რომელსაც U ვექტორი ქმნის OX ღერძთან, $[0, \frac{\pi}{4})$ შუალედში მდებარეობს (სიმეტრიულობიდან გამომდინარე, სხვა სექტორებისთვის ზუსტად იგივე ალბათობა მიიღება). ამრიგად, მიღებული ალბათობა 8-ზე უნდა გავამრავლოთ საბოლოო პასუხის მისაღებად.

ფიქსირებული U=(x, y) ვექტორისთვის A შეიძლება იყოს ნებისმიერი წერტილი [1-x]x[1-y] მართკუთხედიდან (ვინაიდან B=A+U ერთეულოვანი კვადრატის შიგნით უნდა მოხვდეს). ამრიგად, ასეთი U ვექტორის „წონა“ არის (1-x)(1-y). გამოვთვალოთ ამ გამოსახულების ინტეგრალი ყველა დაშვებულ U ვექტორზე:

$$\iint\limits_{0<x<y<1}^{x^2+y^2>r^2} (1-x)(1-y)dxdy$$

ამის გამოსათვლელად გადავიდეთ პოლარულ კოორდინატებში $\iint f(x,y)dxdy = \iint Rf(Rsin\theta, Rcos\theta)dRd\theta$ ფორმულის გამოყენებით:

$$\iint\limits_{\theta=0,R=r}^{\frac{\pi}{4},\frac{1}{cos\theta}} R(1-Rcos\theta)(1-Rsin\theta)dRd\theta$$

ინტეგრალის ქვეშ მყოფ გამოსახულებაში ფრჩხილების გახსნით მივიღებთ $R^3 sin\theta cos\theta - R^2(sin\theta + cos\theta) + R$, ამ გამოსახულების გაინტეგრებით (შიდა ინტეგრალით) კი $\left(\frac{R^4}{4} sin\theta cos\theta - \frac{R^3}{3}(sin\theta + cos\theta) + \frac{R^2}{2}\right)\Big|_r^{1/cos\theta} = \frac{2cos\theta - sin\theta}{12cos^3\theta} - \frac{3r^4 sin\theta cos\theta - 4r^3(sin\theta + cos\theta) - 6r^2}{12}$. ახლა ავიღოთ ამ გამოსახულების ინტეგრალი θ-ს მიმართ:

$$\int_0^{\frac{\pi}{4}} \frac{2cos\theta - sin\theta}{12cos^3\theta} - \frac{3r^4 sin\theta cos\theta - 4r^3(sin\theta + cos\theta) - 6r^2}{12} d\theta =$$

$$\frac{r^4 cos^2\theta}{8} + \frac{r^3(sin\theta - cos\theta)}{3} - \frac{r^2\theta}{2} + \frac{tan\theta}{6} - \frac{1}{24cos^2\theta}\Big|_0^{\pi/4} = -\frac{r^4}{16} + \frac{r^3}{3} - \frac{\pi r^2}{8} + \frac{1}{8}$$

იმის გათვალისწინებით, რომ მიღებული შედეგი არის სიბრტყის 1/8 ნაწილისთვის და ასევე რომ ეს იმის შებრუნებული ხდომილების ალბათობაა, რასაც ვეძებდით, ვიღებთ p(r) დამოკიდებულების საბოლოო ფორმულას r≤1 შემთხვევისთვის:

$$p(r) = \frac{r^4}{2} - \frac{8}{3}r^3 + \pi r^2$$

ვინაიდან მაღალი განზომილებებისთვის ანალიზის ჩატარება უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს, d>2 შემთხვევებში p(r) სიდიდის შესაფასებლად მონტე-კარლოს მეთოდს ვიყენებ: ვატარებ დიდი რაოდენობის (10 მილიონ) ცდას და ვითვლი ორი შემთხვევითი წერტილის არაუმეტეს r მანძილზე აღმოჩენის სიხშირეს. შედეგად მიღებული ალბათობები მაქსიმუმ მიახლოებით 0.00025-ით განსხვავდებოდა რეალური სიდიდეებისგან d=2 შემთხვევაში.

უშუალოდ გრაფის წიბოების გენერაციისთვის კვლავ შეიძლება მარტივი ალგორითმის გამოყენება: წვეროების ყოველი (u, v) წყვილის განხილვა, მათ შორის მანძილის გამოთვლა და გრაფში (u, v) წიბოს ჩამატება, თუ ეს მანძილი არ აღემატება r-ს. მეტიც, აქ შეიძლება საკმაოდ მძიმე ფესვის ამოღების ფუნქციისგან თავის დაღწევა, თუ გამოვთვლით მანძილის კვადრატს და შევადარებთ r^2 სიდიდეს. ამრიგად, კვლავ გვაქვს $O(n^2)$ სირთულის ალგორითმი.

წერტილების შემთხვევითი განაწილებისთვის და დიდი r-ისთვის ეს ალგორითმი ოპტიმალურთან ახლოსაა. როდესაც წერტილების განაწილება არ არის შემთხვევითი, ანაც r-ის მნიშვნელობა საკმარისად დაბალია, არსებობს უკეთესი მეთოდები. საზოგადოდ, წერტილისგან არაუმეტეს R მანძილით დაშორებული წერტილების მოძებნის ამოცანას ეძახიან „Fixed-radius near neighbours“ და იგი მრავალი კუთხით არის გამოკვლეული [11]. ჩემს შემთხვევაში გამოვიყენე ერთ-ერთი ცნობილი Cell Technique მეთოდის მოდიფიკაცია.

ჩემი მიდგომა d=2 შემთხვევაში შემდეგში მდგომარეობს. ავიღოთ C = $\left\lfloor \frac{1}{r} \right\rfloor$ რიცხვი და დავყოთ ერთეულოვანი კვადრატი C x C მატრიცად. მატრიცის ყოველი უჯრისთვის შემოვიღოთ იმ წვეროების სია, რომლებიც მის შიგნით მოხვდა. ვინაიდან ყოველი უჯრის გვერდის სიგრძე არის r ან მეტი, ესე იგი ნებისმიერი წერტილისგან არაუმეტეს r მანძილით დაშორებული წერტილები იქნება ან იმავე უჯრაში რაც ეს წერტილი, ან ერთ-ერთში 8 მეზობელი უჯრისგან. ამრიგად, საშუალოდ ხდება მხოლოდ $\frac{9}{C\hat{}2}n \approx 9nr\hat{}2$ წერტილის შემოწმება ყოველი წერტილისთვის.

4.5. მონაცემთა სტრუქტურები უმოკლესი გზის ძებნის ალგორითმებისთვის.

დეიქსტრას ალგორითმი და მასზე დაფუძნებული მეთოდები მკვრივი და ხალვათი გრაფების შემთხვევაში სხვადასხვა მონაცემთა სტრუქტურას იყენებენ. მკვრივი გრაფის შემთხვევაში $O(n^2)$ ალგორითმული სირთულის მისაღებად საკმარისია მიღწეულ წვეროებამდე უმოკლესი მანძილები მასივში იქნას შენახული, ხოლო ხალვათი გრაფისთვის $O(m \log_2 n)$ ან $O(n\log_2 n + m)$ სირთულე მიიღწევა გროვების და ფიბონაჩის გროვების საშუალებით.

ამ ნაშრომში ვიყენებ მხოლოდ მასივზე და ორობით გროვაზე დაფუძნებულ იმპლემენტაციებს. ფიბონაჩის გროვებზე უარი ვთქვი იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ალგორითმების სტატისტიკური შედარებისთვის საჭიროა მათი სწრაფქმედების დიდი რაოდენობის გრაფისთვის შედარება და აქედან გამომდინარე ეს გრაფები ვერ იქნება ძალიან დიდი. ფიბონაჩის გროვა კი პრაქტიკაში ორობით გროვასთან შედარებით უკეთეს შედეგებს იძლევა დაწყებული მილიონწვეროიანი გრაფებიდან.

ნაშრომის ფარგლებში შექმნილია კლასი DataCenter და მისი შვილობილი კლასი HeapDataCenter. იგულისხმება, რომ ეს სტრუქტურები ინახავენ მთელ ინფორმაციას ალგორითმის მსვლელობის შესახებ, მათ შორის მანძილებს მიღწეულ წვეროებამდე და მიღწევადობის ჭდეებს.

ამ სტრუქტურებს გააჩნიათ შემდეგი მეთოდები:

- void decreaseKey(int v, int dist) – v წვერომდე უმოკლესი გზის სიგრძეს dist სიდიდემდე ამცირებს
- void markVisited(int v) - აღნიშნავს, რომ შესრულდა დეიქსტრას ალგორითმის იტერაცია v წვეროსთვის
- int getTopVertex() - აბრუნებს იმ წვეროს ნომერს, რომლისთვისაც ალგორითმის იტერაცია ჯერ არ შესრულებულა და რომელიც ყველა ასეთ წვეროს შორის ყველაზე ახლოს არის ძებნის სათავესთან, ან რიცხვს "-1" თუ ასეთი წვერო არ მოიძებნა

DataCenter ამ მეთოდების იმპლემენტაციას მასივის საშუალებით ახდენს. decreaseKey და markVisited მეთოდების ალგორითმული სირთულე O(1) აქვს, ხოლო getTopVertex კი O(n).

HeapDataCenter იყენებს მოდიფიცირებულ ორობით გროვას getTopVertex მეთოდის დასწრაფების მიზნით. გროვაში ჩამატებულია წვეროების ნომრები, რომლების შედარება ხდება შესაბამისი წვეროების მანძილებით და რომლებიც იცავენ გროვის ძირითად თვისებას. ასევე შემოღებულია „უკუინდექსაცია" (reverse index), რომლის საშუალებით შესაძლებელია მოცემული ნომრის მქონე წვეროს O(1) დროში მოძებნა გროვის სტრუქტურაში. ამრიგად, decreaseKey და markVisited მეთოდების სირთულე $O(\log_2 n)$ არის, ხოლო getTopVertex O(1)-ში სრულდება.

4.6. დეიქსტრას ალგორითმი და A* ძებნა.

დეიქსტრას ალგორითმის და A* ძებნის მსგავსებიდან გამომდინარე, ეს ორი ალგორითმი გაერთიანებული მაქვს ერთ მეთოდად, რომლის სიგნატურაა:

```
getShortestPath(EuclideanGraph & graph, int source, int destination, bool
heuristic, double upperBound = INFINITY, implementation imp = automatic)
```

განვმარტოთ პარამეტრების შინაარსი:

- graph - ევკლიდური გრაფი, რომელშიც მოხდება უმოკლესი გზის ძებნა
- source და destination - წვეროები, რომელთა შორის უმოკლესი გზის მოძებნაა საჭირო

- heuristic - ამ პარამეტრის მცდარი (false) მნიშვნელობის შემთხვევაში ხდება ჩვეულებრივი დეიქსტრას ალგორითმის ამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფუნქცია A* ძებნას ახორციელებს
- upperBound - ცნობილი ზედა ზღვარი უმოკლესი გზის სიგრძეზე
- imp - `enum implementation {automatic, matrix, heap};` ტიპის ცვლადი, რომელიც უთითებს, თუ რომელი მონაცემთა სტრუქტურა უნდა იქნას გამოყენებული ალგორითმის მსვლელობაში. automatic ნიშნავს, რომ ალგორითმი თვითონ შეარჩევს ხელსაყრელ მონაცემთა სტრუქტურას.

შეიძლება ლოგიკურად მოგეჩვენოთ heuristic პარამეტრის ნაცვლად ალგორითმისთვის წვეროების პოტენციალების მასივის გადაცემა. A* ძებნის შემთხვევაში ეს იქნებოდა მანძილები წვეროდან destination წვერომდე, ხოლო დეიქსტრას ალგორითმის შემთხვევაში - 0-ებით შევსებული მასივი (დეიქსტრას ალგორითმი შეიძლება A* ალგორითმის კერძო შემთხვევად მივიჩნიოთ ნულის ტოლი პოტენციალის ფუნქციით). მაგრამ ამ შემთხვევაში, A* ალგორითმისთვის საჭირო გახდებოდა ყველა წვეროსთვის destination წვერომდე მანძილის გამოთვლა, რაც sqrt ფუნქციის გათვალისწინებით საკმაოდ შრომატევად პროცესს წარმოადგენს.

upperBound პარამეტრის გამოყენება შემდეგში მდგომარეობს. თუ უმოკლესი მანძილის გამოთვლის ალგორითმამდე რაიმე ევრისტიული მეთოდით მოვახერხეთ რომელიმე გზის მოძებნა მოცემულ წვეროებს შორის, შეგვიძლია ეს ცოდნა გამოვიყენოთ ზედმეტი ოპერაციების თავიდან ასაცილებლად: თუ ვაპირებთ ისეთი წიბოს გამოყენებით რაიმე წვეროს გასაღების შემცირებას, რომლის მეორე ბოლოში მყოფი წვერო upperBound-ზე უფრო დიდ მანძილზე იმყოფება ძებნის სათავიდან, ეს წვერო ნამდვილად ვერ შევა საძებნ უმოკლეს გზაში და ამ გასაღების შემცირების ოპერაციის იგნორირება შეიძლება. გაჩუმებით ამ პარამეტრის მნიშვნელობა პირობით უსასრულობად არის ჩათვლილი, რაც ალგორითმის მსვლელობაზე ზეგავლენას არ ახდენს.

წიბოების სიგრძეები ალგორითმს ცხადად არ გადაეცემა. მათი გამოთვლა ხდება იმ დროს, როდესაც ამ წიბოების რელაქსაცია ხდება, შესაბამის წვეროებს შორის ევკლიდური მანძილის გამოთვლის მეშვეობით.

გრაფის სიმკვრივის ხარისხიდან გამომდინარე, ალგორითმი თვითონ ირჩევს მონაცემთა სტრუქტურას. შევნიშნოთ, რომ ეს არჩევანი არაა პირდაპირ დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახით არის წარმოდგენილი გრაფი: ზოგჯერ მეზობელთა სიებით შენახული გრაფისთვისაც უმჯობესია $O(n^2)$ სირთულის ალგორითმის ამუშავება. კონკრეტულად, HeapDataCenter სტრუქტურის არჩევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ $3*m*\log_2 m$ არ აღემატება n^2-ს (სადაც n და m გრაფში წვეროების და წიბოების რაოდენობებია შესაბამისად). ეს სიდიდეები ექსპერიმენტალურად იყო გამოყვანილი. შენიშვნა: როდესაც imp პარამეტრის მნიშვნელობა არ არის automatic, ალგორითმი იძულებულია შესაბამისი სტრუქტურა გამოიყენოს.

4.7. ორმხრივი დეიქსტრას ალგორითმი.

ორმხრივი დეიქსტრას ალგორითმი იმპლემენტირებულია getShortestPathDoubleSearch ფუნქციის სახით, რომლის სინგატურაა:

```
getShortestPathDoubleSearch(EuclideanGraph & graph, int source, int
destination, bool alternate)
```

graph წარმოადგენს გრაფს, რომელშიც ხდება უმოკლესი გზის ძიება, ხოლო source და destination იმ წვეროების წყვილია, რომელთა შორის უმოკლესი გზის მოძებნაა საჭირო.

დამატებითი პარამეტრი alternate-ის მნიშვნელობა შემდეგია: თუ იგი არის false, მაშინ ყოველ ნაბიჯზე ხდება იმ ნახევრიდან წვეროს დამუშავება, რომელიც თავის სათავესთან უფრო ახლოს იმყოფება. alternate=true შემთხვევაში წვეროების დამუშავება ყოველთვის მონაცვლეობით ხორციელდება: პირველი ნახევრიდან, მეორიდან, პირველიდან და ასე შემდეგ.

წინა ფუნქციის მსგავსად, აქაც ალგორითმი თვითონ წყვეტს, რომელი მონაცემთა სტრუქტურა გამოიყენოს ინფორმაციის დასამუშავებლად. HeapDataCenter სტრუქტურის არჩევა ხდება თუ $3mlog(m) \leq n^2$.

4.8. ალგორითმების სწრაფქმედების შედარება.

ვინაიდან ალგორითმების წარმადობის შედარება მრავალი სხვადასხვა სცენარისთვის იყო საჭირო, მიზანშეწონილი იყო მაქსიმალურად ზოგადი ფუნქციის შექმნა, რომელიც მოცემული პარამეტრების გრაფებისთვის მოახდენდა ალგორითმების გაშვებას და სტატისტიკის შეგროვებას. ასეთი ფუნქციის სიგნატურა შემდეგია:

```
void compareAlgorithms(int n, double p, int d,
EuclideanGraph* (*generator)(int,double,int), char * graphName,
char * filename, int tests, int queriesPerTest)
```

n, p, d წარმოადგენს გრაფის პარამეტრებს: წვეროების რაოდენობას, წიბოს გავლების ალბათობას ან წიბოს შესაქმნელად საჭირო მაქსიმალურ მანძილს, იმის მიხედვით თუ რა ტიპის გრაფთან იქნება საქმე და ევკლიდური სივრცის განზომილება.

generator წარმოადგენს შემთხვევითი გრაფის შემქმნელ ფუნქციაზე პოინტერს და შესაბამისად როგორც getBernoulliRandomGraph, ასევე getRandomGeometricGraph შეიძლება იყოს.

graphName და filename სტატისტიკის ფაილის პარამეტრებს წარმოადგენენ.

tests პარამეტრი განსაზღვრავს, თუ რამდენი სხვადასხვა გრაფი უნდა დაგენერირდეს ალგორითმების შესამოწმებლად. ყოველი ასეთი გრაფისთვის queriesPerTest რაოდენობის წვეროების შემთხვევითი წყვილი აირჩევა და ალგორითმების გაშვება ყოველი ამ წყვილისთვის ხდება.

ერთ-ერთი არსებითი მომენტია არაბმული გრაფების დამუშავება. იმ შემთხვევაში, როდესაც არაბმული გრაფის ორი სხვადასხვა კომპონენტის წვეროს ვირჩევთ უმოკლესი მანძილის დამდგენი რომელიმე ალგორითმის შემავალ მონაცემებად, ამ ალგორითმს უწევს მთელი შესაბამისი კომპონენტის შემოვლა, სანამ დაასრულებს მუშაობას. ეს გადაგვარებული შემთხვევა არსებითად ცვლის სტატისტიკურ სურათს, რის გამოც დაბალი p ან r პარამეტრის მნიშვნელობისთვის ვერ მივიღებდით რეალურ შედეგებს.

ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად გრაფის გენერაციის შემდეგ ვახდენ მის ბმულ კომპონენტებად დაშლას. როდესაც ხდება წვეროების წყვილების არჩევა, რომლებზეც

მოხდება ალგორითმების გაშვება, ხდება ყველა განსხვავებულ კომპონენტებში მყოფი წყვილის უგულებელყოფა.

4.9. MINIMUM-ANGLE-DFS მეთოდის იმპლემენტაცია.

ნაშრომის ფარგლებში იმპლემენტირებულია MINIMUM-ANGLE-DFS ალგორითმის ვერსია, რომელიც პირველ რიგში ეძებს საუკეთესო კანდიდატ მეზობელს და სიღრმეში ძებნას მისთვის იძახებს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ახდენს ყველა დანარჩენი მეზობლის დალაგებას და დალაგების თანმიმდევრობით აგრძელებს მათში ძიებას.

კიდევ ერთი გადასაწყვეტი ამოცანა ამ მეთოდის იმპლემენტაციაში არის კუთხეების გამოთვლა. გავიხსენოთ, რომ როდესაც ალგორითმი ამუშავებს რომელიმე v წვეროს, მისი მეზობელი წვეროები ლაგდება იმ კუთხის კლების მიხედვით, რომელიც იქმნება v წვეროს, შესაბამის მეზობელ u-ს და ძებნის დანიშნულების წერტილ t წვეროს შორის. როდესაც ეს კუთხე 180 გრადუსის ტოლია, ეს ნიშნავს რომ u წვერო მდებარეობს v წვეროდან t წვეროსკენ წამოსულ სხივზე და უფრო დიდი ალბათობით წარმოადგენს ძებნის გასაგრძელებლად ხელსაყრელ კანდიდატს, ვიდრე წვერო, რომელიც ქმნის 90-გრადუსიან კუთხეს (ანუ ამ სხვივისგან მართობული მიმართულებით მდებარეობს). ამ კუთხეების სიდიდეების ზუსტად გამოთვლა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვნად შეანელებდა ჩვენს პროცედურას. ამიტომ კუთხეების ნაცვლად ვახდენ მათი კოსინუსების გამოთვლას. კოსინუსების თეორემის თანახმად, საძებნი კუთხის კოსინუსი მოიცემა ფორმულით: $cos\gamma = \frac{a^2+b^2-c^2}{2ab}$, სადაც a = distance(v, t), b = distance(v, u), c = distance(u, t). ამ ფორმულის შეფასება შეიძლება მხოლოდ ერთი კვადრატული ფესვის ამოღების ოპერაციის საშუალებით, რაც გამოთვლას საკმაოდ ეფექტურს ხდის.

[0, 180]-გრადუსიან შუალედში კოსინუსები აკმაყოფილებენ მნიშვნელოვან თვისებას: კუთხის კოსინუსი კლებულობს თვითონ კუთხის ზრდასთან ერთად. ამრიგად, მეზობელი წვეროების დალაგება კუთხის კლებადობის მიხედვით ჩავანაცვლე მათი კოსინუსების ზრდის მიხედვით დალაგებით.

თავი 5. შედეგები

ალგორითმების წარმადობის შესაფასებლად მრავალი კრიტერიუმის მოფიქრება შეიძლება: მუშაობის რეალური დრო, ალგორითმის მიერ დამუშავებული წვეროების საშუალო რაოდენობა, ალგორითმის მიერ შესრულებული რელაქსაციების რაოდენობა, etc. ჩემს მიერ მოგროვებული იყო რეალური დროის გარდა ყველა ასეთი სახის სტატისტიკური მონაცემი. ძირითად პარამეტრად მათ შორის მიმაჩნია ალგორითმის მიერ დამუშავებული წვეროების რაოდენობის და ნაპოვნ უმოკლეს გზაში შესული წვეროების რაოდენობის საშუალო შეფარდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სტატისტიკა ითვლის, უმოკლესი გზის ყოველი წვეროს საპოვნელად საშუალოდ რამდენი წვეროს დამუშავება მოუწია ალგორითმს. ამ პარამეტრს შემდგომში ratio-თი მოვიხსენიებ.

ვინაიდან წინასწარი ტესტირების პერიოდში ორმხრივმა დეიქსტრას ალგორითმის იმპლემენტაციამ, რომელიც s-თან და t-სთან უახლოეს წვეროების მონაცვლეობით ამუშავებს, უკეთესი შედეგები აჩვენა, აქ ეს იმპლემენტაცია იყო გამოყენებული.

სიმულაციის სრული შედეგები დანართში არის მოცემული. აქ მოხდება ძირითადი შედეგების შეჯამება კლასიკური ალგორითმების წარმადობასა და MINIMUM-ANGLE-DFS მეთოდთან დაკავშირებით.

5.1. უმოკლესი გზის ალგორითმების შედარება ბერნულის შემთხვევითი გრაფებისთვის.

ბერნულის შემთხვევით გრაფებზე ალგორითმების შედარებისთვის შევარჩიე გრაფების სამი სხვადასხვა ზომა: წვეროების რაოდენობებით n=500, n=5000 და n=50000. ყოველი ზომის გრაფებისთვის ასევე შევარჩიე p-ს რამდენიმე მნიშვნელობა და ალგორითმების შედარება მოვახდინე დიდი რაოდენობის G(n, p) გრაფზე 2-, 3- და 4-განზომილებიან სივრცეში.

დეიქსტრას ალგორითმი სხვა ორთან შედარებით ყველაზე არაეკონომიურად მუშაობს. მის მიერ დამუშავებული წვეროების საშუალო რაოდენობა სტაბილურად რჩება გრაფის წვეროების რაოდენობის ნახევართან ახლოს. ამრიგად, სიბრტყეზე განლაგებულ 500-
